ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7497214

ნომერი: AR11091204

თარიღი : 15.05.2025

გაცემის თარიღი : 30.05.2025

გაცნობის თარიღი : 11.06.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლესელიძის II ჩიხი , N 7 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე აფხაზი , ჩიხი II , N 9 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 37 ; ქალაქი თბილისი , ლესელიძის II ჩიხი N6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ჯობაძე პ/ნ 01024062346
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 23 თებერვლის №1747108 გადაწყვეტილებით გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 15 მაისის №AR11091204 განცხადებით მომართა მოზ. დიმიტრი ჯობაძემ და მოითხოვა სამსახურის 2015 წლის 23 თებერვლის №1747108 გადაწყვეტილებით გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2015 წლის 23 თებერვლის №1747108 გადაწყვეტილებით თბილისში, ლესელიძის ქ. №37 (ს/კ №01.18.03.048.020), ლესელიძსი II ჩიხი №6 (ს/კ №01.18.03.048.025), კოტე აფხაზის II ჩიხი №9 (ს/კ №01.18.03.048.002) და ლესელიძსი II ჩიხი №7 ში (ს/კ №01.18.03.048.023) სასტუმროს განთავსების მიზნით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
2016 წლის 16 დეკემბრის №3002464 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 23.02.2015 წ. №1747108 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს - საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1).
2017 წლის 14 თებერვლის №3091340 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), მლესელიძის II ჩიხი, N7/კოტე აფხაზის ჩიხი II N9/ ლესელიძის ქ. N37/ლესელიძის II ჩიხი N6-ში, შ.პ.ს. ""RAMSIS–ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე სასტუმროს არქიტექტურული პროექტი; გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2021 წლის 23 სექტემბრის №5609248 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და შეცვლილი მიწის ნაკვეთის ფართობის დაფიქსირება.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილების თანახმად, საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელღაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის საბჭომ (ოქმი №20, 29.05.2025 წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინსტრაციულ ორგანოს. სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეიტანოს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 23 თებერვლის №1747108 გადაწყვეტილებით გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის ცვლილებასთან დაკავშირებით.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 23 თებერვლის №1747108 გადაწყვეტილებით გაცემული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დაფიქსირდეს: 1335.00 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 23 თებერვლის №1747108 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

- 

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ  შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.